საიდ. N 75405/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №106-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH) (მის.: ამ ბრუნენ 1, A-5330 ფუშლ ამ ზეე, ავსტრია; Am Brunnen 1, A-5330 Fuschl am See (AT)) N106-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 11 მარტის N461/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში რომლითაც სასაქონლო ნიშანი „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) დარეგისტრირდა შპს „რიკო - ფუდსის“ სახელზე 32-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „რედ ბულ გმბჰ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან არსებობს ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი. შპს „რიკო-ფუდსის“ (მის: გუადალმინა ალტა, ბლქ ბარქლაის ბანკ, ლა პლანტა, 29678 სან პედრო დე ალკანტარა მალაგა, ესპანეთი; Guadalmina Alta, Blq Barclays Bank, la planta, 29678 San Pedro de Alcantara Malaga (ES)) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) მსგავსია აპელანტი კომპანიის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა IR 1097276; IR 883430; IR 734686; IR 969260; IR 871248; IR 754419, ხოლო 32-ე კლასის მიმართ საქონელი იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

აპელანტის პოზიციით, კომბინირებული სადავო სასაქონლო ნიშნის “TORO SPAIN FLAVOUR” (საიდ. N75405/03) და აპელანტის კუთვნილი კომბინირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსება დგინდება მათი კონცეპტუალური და გრაფიკული ელემენტების მსგავსების მიხედვით, ასევე სიტყვების „TORO” და „RED BULL” სემანტიკური მსგავსებით. სადავო სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი წარმოადგენს ხარის შავ-თეთრ გამოსახულებას. აღნიშნულ გამოსახულება აღრევამდე მსგავსია აპელანტის კუთვნილი, გამოსახულებითი და კომბინირებული სასაქონლო ნიშნებისა, რომლებიც წარმოადგენენ ერთი ან ორი ხარის შავ-თეთრ გამოსახულებას. ხარის გამოსახულება სადავო სასაქონლო ნიშანში და აპელანტის კუთვნილ ნიშნებში შესრულებულია ერთნაირი გრაფიკული მანერით, ფერთა შეხამებითა და დეტალების

გამოსახვის ერთანაირი ხარისხით. ამასთან, სადავო სასაქონლო ნიშანი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის სასაქონლო ნიშნების იმავე სერიას ეკუთვნის, რომელსაც აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნები. აპელანტის მითითებით, სადავო სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტები მოიცავს შემდეგ სიტყვებს: „TORO“, რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც „ხარი“, „SPAIN“ - ესპანეთი, „FLAVOUR“ - გემო, არომატი. აპელანტის პოზიციით, სიტყვები „SPAIN“ და „FLAVOUR“ სადავო სასაქონლო ნიშანში დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება, რადგან მიანიშნებს საქონლის წარმოშობასა და თვისებებზე, შესაბამისად ისინი არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული სასაქონლო ნიშნების შედარებისას. ძირითადი დომინანტი ელემენტები სადავო სასაქონლო ნიშნებში არის სიტყვა „TORO” და ხარის გამოსახულება. აპელანტის განმარტებით, სიტყვა „TORO“ წარმოადგენს სემანტიკური თვალსაზრისით აღრევამდე მსგავს სიტყვას შემდეგ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანებთან მიმართებით: „RED BULL“ (IR 754419) და ასევე სიტყვიერ ნაწილებთან კომბინირებული სასაქონლო ნიშნებში IR 1097276 და IR 871248, რადგან სიტყვებს „TORO” და „BULL“ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს ინგლისურ, ესპანურ და ქართულ ენებში. აპელანტის აზრით, სიტყვათა კომბინაციაში - „RED BULL“, სემანტიკური თვალსაზრისით, მთავარ განმასხავებელ ელემენტს წარმოადგენს სიტყვა „BULL“ ანუ ხარი. ისევე როგორც, სადავო სასაქონლო ნიშანში სიტყვა „TORO” ანუ ხარი. სიტყვა „RED“ აპელანტის ნიშნებში აღნიშნავს ფერს - წითელს და წარმოადგენს ზედსართავ სახელს სიტყვისათვის „BULL“ - ხარი.

სააპელაციო საჩივარში აპელანტი ყურადღებას ამახვილებს დაპირისპირებული სასაქონლი ნიშნების საქონლის ჩამონათვალზე და განმარტავს, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი განცხადებულია 32-ე კლასის შემდეგი საქონლისათვის: „ლუდი, მინერალური და გაზიანი წყალი და სხვა უალკოჰოლო სასმელები; ხილის სასმელები და ხილის წვენები; ვაჟინები და სასმელების დასამზადებელი სხვა შედგენილობები“. აღნიშნული საქონელი იდენტურია იმ საქონლისა, რომლისთვისაც დაცულია აპელანტის კუთვნილი სასაქონლო ნიშნები.

აპელანტი ყურადღებას ამახვილებს დაპირისპირებული ნიშნების ადრეულ პრიორიტეტზე და განმარტავს, რომ აღნიშნული ნიშნები წარმოადგენენ ორიგინალურ ნიშნებს და ახასიათებთ მაღალი დონის განმასხვავებლობა. ნიშნები არ არის აღწერილობითი და არ მიანიშნებენ 32-ე კლასის საქონელზე. უფრო მეტიც, მათ გააჩნიათ მაღალი დონის განმასხვავებლობა, რომელიც მოიპოვეს მათი აქტიური რეკლამისა და მარკეტინგის დამსახურებით. მრავალი წლის განმავლობაში, მარკეტინგსა და რეკლამაში გაწეული დიდი ინვესტიციის შედეგად კომპანიის „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH) ნიშნებმა მოიპოვა პოპულარობა და ცნობადობის მაღალი ხარისხი მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში. „ხარის“ კონცეფციას (სიტყვიერი ან გრაფიკული შესრულება) კომპანია იყენებს საფირმო დასახელებად და როგორც სასაქონლო ნიშანს უკვე თითქმის 30 წელია. აპელანტის მითითებით, კომპანია „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH) დაარსდა 1984 წელს დიტრიხ მატეშიცის მიერ. მან შეარჩია ინგრედიენტები, შეიმუშავა უნიკალური მარკეტინგული გეგმა და დაიწყო ენერგეტიკული სასმელების გაყიდვა სახელწოდებით “RED BULL ENERGY DRINK” ავსტრიის ბაზარზე 1987 წლიდან. ეს იყო ახალი პროდუქტი. ეს იყო აღმოჩენა სრულიად ახალი პროდუქტის კატეგორიისა. ავსტრიაში გაყიდვები ყოველ წელს ორმაგდებოდა ამიტომ, კომპანია გავიდა საზღვარგარეთის ბაზრებზე - სინგაპური 1989წ., უნგრეთი 1992წ. გერმანიაში კომერციულ საქმინობაზე კომპანიამ ნებართვა მიიღო 1994 წელს, დიდ ბრიტანეთში 1995 წელს. 1996 წლიდან კომპანიამ „Red Bull GmbH“ დაიწყო კომერციული საქმიანობა აშშ-ში, კერძოდ, კალიფორნიაში. გაყიდვების მაჩვენებელი 1994 წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით 113 მილიონს შეადგენდა, 2014 წლისათვის კი 5,6 მილიარდამდე გაიზარდა. კომპანია „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH) საქონლის რეკლამირებას აწარმოებს ტელევიზიის, კინოს, რადიოს მეშვეობით. აპელანტი კომპანიის ყველაზე ცნობილი პროდუქტები, რომლებიც იყიდება მსოფლიო ბაზარზე არის ენერგეტიკული და სხვა სახის გამაგრილებელი სასმელები - ორი ხარის გამოსახულებით. „EUROBRAND AUSTRIA“-ს 2014 რეიტინგის მიხედვით „რედ ბულ

გმბჰ“ (RED BULL GMBH) წარმოადგენს ყველაზე ფასეულ ავსტრიულ ბრენდს, რომლის ღირებულებაც აჭარბებს 15,643 მილიონ ევროს. სასმელი „RED BULL“ (რედ ბულ) იყიდება ფაქტიურად ყველა ტიპის სუპერმარკეტში, მაღაზიაში, ასევე მრავალ კაფეში, რესტორანში და ბარში მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში. საერთაშორისო ბაზარზე კომპანიის „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH) პროდუქციის რეკლამირება ხდება სხვდასხვა ღონისძიებების სპონსორობით: ფორმულა ერთის რბოლები 1995 წლიდან. ამჟამად, კომპანიას ეკუთვნის 2 გუნდი; დაკარის რალი 2004 წლიდან; მსოფლიო სერია „RED BULL X-FIGHTERS WORLD SERIES“, რომელიც ყოველწლიურად ტარდება მოტოფრისტაილინგში; ფლუგტაგი- რომელიც პირველად ჩატარდა ავსტრიაში 1992 წელს; „RED BULL ART OF CAN“ - 1999 წლიდან; „RED BULL“ მუსიკალური აკადემია 1998 წლიდან. ამრიგად, დაპირისპირებულმა სასაქონლო ნიშნებმა (როგორც სიტყვიერმა ისე კომბინირებულმა) და კომპანიამ „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH), წარმატებული მარკეტინგული სტრატეგიის შედეგად, მოიპოვეს ცნობადობა მთელ მსოფლიოში დიდი ხნით უფრო ადრე ვიდრე მოხდებოდა სადავო სასაქონლო ნიშანზე - „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) განაცხდის შეტანა (10.01.2015.) საქპატენტში. აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნების შედარებისას აშკარაა, რომ არსებობს ნიშნებს შორის აღრევის მაღალი ალბათობა, რადგან საქონლის ჩამონათვალი იდენტურია. გასათვალისწინებლია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსებას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ნიშნები შეიცავენ სემანტიკურად იდენტურ სიტყვას - „ხარი“ - „TORO” „BULL“. ასევე, კონცეფციის თვალსაზრისით ერთნაირ გამოსახულებით ელემენტებს, რომელთა გრაფიკული შესრულება ძალზედ მსგავსია. აპელანტის საკუთრებაში არსებული ყველა სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სასაქონლო ნიშნების სერიას. აღნიშნული სასაქონლო ნიშნების სერია გამოხატავს ხარის კონცეფციას. სადავო კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) მოიცავს მსგავს გამოსახულებით ელემენტს, აქვს იდენტურ კონცეფცია, შეიცავს

იდენტურ სიტყვას - „TORO“ და რეგისტრირებულია 32-ე კლასში იდენტური საქონლისათვის. აპელანტის განმარტებით, ყოველივე აღნიშნული მომხმარებელში გამოიწვევს სიმბოლოების, სასაქონლო ნიშნებისა და მწარმოებლების აღრევას. აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ სიტყვები „SPAIN FLAVOUR“ არაგანმასხვავებელუნარიანია, რადგან ითარგმნება, როგორც „ესპანური გემო“ და შესაბამისად, ვერ იქნება დაცვის დამოუკიდებელი ელემენტი. აპელანტის პოზიციით, სადავო სასაქონლო ნიშნის მფლობელი, შპს „რიკო-ფუდსი“ მიიღებს დაუმსახურებელ სარგებელს სასაქონლო ნიშნის „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) გამოყენებით. აპელანტის განმარტებით, მომხმარებლემა შესაძლებელია მიიჩნიოს, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი არის კომპანიის „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH) სასაქონლო ნიშნების სერიის შემადგენელი ნაწილი და გამოიწვევს აპელანტის საკუთრებაში არსებულ ნიშნებთან ასოცირებას. აპელანტის პოზიციით, აშკარაა, რომ აღრევის შესაძლებლობამდე მსგავსი ნიშნის რეგისტრაციით განმცხადებელი ცდილობს დაუმსახურებლად შეიქმნას კარგი პირობები ბაზარზე, მოიპოვოს წარმატება უფრო ადრეული პრიორიტეტით საქართველოში დაცული და ცნობილი სასაქონლო ნიშნების რეპუტაციის, მიმზიდველობის, პრესტიჟის ხარჯზე. ასევე, გამოიყენოს მარკეტინგული გეგმის შედეგები, ისე რომ თავიდან აიცილოს ზედმეტი დანახარჯები საკუთარი სასაქონლო ნიშნის რეკლამირებისათვის. უფრო მეტიც, კომანია „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH) ინარჩუნებს ხარისხის უმაღლეს სტანდარტებს და მომხმარებელი განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) დაუკავშირებს კომანია „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH) პროდუქციის ხარისხს. ამ უკანასკნელს არ შუძლია გააკონტროლოს სადავო სასაქონლო ნიშნით მარკირებული პროდუქციის ხარისხი, შესაბამისად, ჩნდება იმის საშიშროება, რომ განმცხადებლის პროდუქციის ხარისხის სტანდარტები არ იქნება შესაბამისობაში კომანიის „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH) ხარისხის სტანდარტებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური

საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 11 მარტის N461/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანი „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) დარეგისტრირდა შპს „რიკო - ფუდსის“ სახელზე 32-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ამასთან, დაინტერესებული მხარე, შპს „რიკო ფუდსი“, რომელსაც კანონით დადგენილი წესით ეცნობა საქმის ზეპირი მოსმენის სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, სხდომაზე არ გამოცხადდა.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი

„TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები

IR 1097276; IR 883430; IR 734686; IR 969260;

IR 871248; IR 754419 არიან აღრევამდე მსგავსი, როგორც ვიზუალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) წარმოადგენს კომბინირებულ ნიშანს, რომელიც სიტყვიერ აღნიშვნასთან „TORO SPAIN FLAVOUR“ ერთად შეიცავს შავ-თეთრ ფერში შესრულებულ ხარის გამოსახულებას. ნიშანში სიტყვიერი ნაწილი დატანილია, ხარის გამოსახულების ქვემოთ, შესაბამისად ნიშანში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს ხარის

გამოსახულება და მის ქვეშ დატანილი აღნიშვნა „TORO”, რომელიც ესპანურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ხარი“. რაც შეეხება ნიშნის სიტყვიერ აღნიშვნას „SPAIN FLAVOUR“, რომელიც ითარგმნება, როგორც „ესპანური გემო“, ის წარმოადგენს ნიშნის დაუცველ ელემენტს, ვინაიდან აღწერეს საქონლის მახასიათებლებს.

დაპირისპირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნები, სიტყვიერ აღნიშვნასთან „Red Bull” ერთად შეიცავენ შავ-თეთრ ფერში შესრულებულ, წრეში ნახევრად ჩასმულ ორი ხარის გამოსახულებას. კომპანიას „რედ ბულ გმბჰ“ საქართველოში ასევე, 32-ე კლასის საქონლისათვის დაცული აქვს შავ-თეთრ ფერში

შესრულებული ხარის გამოსახულება IR 969260. დაპირისპირებულ ნიშნებში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს ხარის გამოსახულება და სწორედ მასზე მოდის ნიშნის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა. განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების დომინანტი ელემენტები, აღრევამდე მსგავსია, რაც ზრდის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ნიშნები მსგავსია სემანტიკურად, ვინაიდან ორივე ნიშანი ქართულად ითარგმნება, როგორც „ხარი“. მსგავსია ასევე, დაპირისპირებული ნიშნების 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი.

მიუხედავად ნიშნებს შორის, არსებული ფონეტიკური განსხვავებისა, ნიშნები იმდენად მსგავსია ვიზუალურად და სემანტიკურად, რომ მათი განსხვავებული ჟღერადობა ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განსხვავებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „რედ ბულ გმბჰ“ (RED BULL GMBH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 11 მარტის N461/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც სასაქონლო ნიშანი „TORO SPAIN FLAVOUR“ (საიდ. N75405/03) დარეგისტრირდა საქართველოში 32-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ს. დუმბაძე

ს. ებრალიძე